

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2019 წელი, 23 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

14⁰⁰-15⁰⁰ საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, მ. ზოიძე, რ. სკამკოჩაიშვილი, ლ. ბიგვავა, ნ. ორაგველიძე, ჯ. თავართქილაძე, ლ. ნინიძე, თ. ტულუში, ალ. ღლონტი, ლ. სიჭინავა, დ. მდინარაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - გ. მამაკაიშვილი.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან (ასკანის, კვირიკეთის, ვაკიჯვრის, ცხემლისხიდის, ბოხვაურის და ბაილეთის) არსებული სამოქალაქო განათლების კლუბების „მომავლის თაობა“ - საპროექტო წინადადებების შესახებ.

მომხსენებელი: ლ. საჯაია

თანამომხსენებელი: კლუბის წევრები

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მოკლე ინფორმაცია მუნიციპალიტეტის რიგ სკოლებში არსებული სამოქალაქო განათლების კლუბების „მომავლის თაობა“ განხორციელებული აქტივობების შესახებ, შემდეგ საპროექტო წინადადებების წარმოსადგენად სიტყვა გადასცა კლუბის წევრებს:

ასკანის - სოფელში წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით ახალგაზრდული ცენტრის მოსაწყობად - მერიის მიერ შესაბამისი ოთახის გასარემონტებელი და ინვენტარის შესაძენი თანხის გამოყოფა.

კვირიკეთის - სკოლის ეზოში სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად სკვერის მოწყობა და შესაბამისი ინვენტარის შესაძენად, სანიაღვრე არხის აშენებისათვის მუნიციპალიტეტის მიერ თანხის გამოყოფა.

ვაკიჯვრის - „სიკეთე გადამდებია“ დევიზით მარტოხელა ხანდაზმული ადამიანებისათვის საოჯახო საქმიანობაში დახმარება და ამასთან წნევის გასასინჯად მუნიციპალიტეტის მიერ აპარატების შეძენა და საჩუქრად გადაცემა.

ცხემლისხიდის - დევიზით „მომავლის თაობა თავისუფალ სივრცეში“ სკოლის ეზოში სკვერის მოწყობა - მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო ინვენტარის - სკამები, მაგიდები - შესაძენად თანხის გამოყოფა.

ბოხვაურის - სკოლის სპორტდარბაზში კალათბურთის მოედნისათვის ინვენტარის შესაძენად მუნიციპალიტეტისაგან თანხის გამოყოფა.

ბაილეთის - სკოლასთან ავტომობილების მძღოლების გამაფრთხილებელი ბანერების დასახატავად და ადგილებზე განთავსებისათვის მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი მასალის შესაძენად თანხის გამოყოფა.


კომისიის წევრებმა იმსჯელეს ამ წინადადებებზე და მიიღეს გადაწყვეტილება გადაუგზავნონ მუნიციპალიტეტის მერიას, რათა მისი შესაბამის სამსახურებში განხილვის

შემდეგ გადაწყვეტილ იქნას საპროექტო წინადადებების დაფინანსების საკითხი.

გადაწყვეტეს:

საპროექტო წინადადებები გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (კ. შარაშენიძე) მისი შესაბამის სამსახურებში განხილვისა და დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ლელა საჯაია



კომისიის თავმჯდომარე
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია